წელიწადი მეცხრე — № 422

პარასკევი, 10 მაისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ.ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: წვრილი ამბები — „დროების“ კორრესპონ-დენცია: ხონიდგან — წიგნი რედაქტორთან — რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი — ნ ა რ ე ვ ი — განცხადებანი

ფ ე ლ ტ ო ნ შ ი: ოთხმოცდა ცამეტი, რომანი ვიქ. ჰიუგოსი.

---

განცხადება
### თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

**იღებს**

(1 სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
სამი თვით . . . . . . . . 6 %
ექვსი თვით . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
სამი თვით . . . . . . . . $7^1/_2$ %
ექვსი თვით . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში.
სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში:
სამი თვით . . . . . . . . 8 %
ცრა თვით . . . . . . . . $8^1/_2$ %

4.) საქონლის გირაოში:
რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %
რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

**იხდის**

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში
ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %
ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %
გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %
დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივს დაწესებულებათაგან, — ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი — მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი — ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

---

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОМЕРЧЕСКІЙ БАНКЪ**

От такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявите-(ля,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣст-о жительство.

---

## წვრილი ამბები

— გასაკვირველია, რომ როცა ფოთი-თფილისის რკინის გზაზედ რამე უბედურება მოხდება, გზის სამმართველოს წევრების, ან გზაზედვე სხვა მოსამსახურე კაცების წყალობით, იმათი საქმის სამსაჯულო ხარჯი რკინის გზის საზოგადოებას ხდება. ამის გამო მმართებლობა, რომელიც რკინის გზის საზოგადოების წინაშე ხუთი ნაასალი სარგებლის მძლეველია, ორ ნაირს ზარალში შედის: გზაზედ მომამსახურე კაცების დაუდევრობისა გამო მომხდარ ზარალს გარდა, მმართებლობა ამ დაუდევნელობის გასამართლებელს ხარჯსაც იხდის. სასაცილო არ იქნებაო, ამბობს „თფილისის მოამბე,“ რომ სახლის პატრონმა სამსაჯულო ხარჯი გარდაიხადოს სასტუმროს პატრონის მაგიერ, რომელსაც ცუდი საჭმელების კეთებისათვის ასამართლებენ!

---

— მოსკოვში გვარიანი დიდი თავნის მექონი კომპანია შემდგარა, რომელიც ჰფიქრობს თურმე, რომ კავკასიაში მიწები შეისყიდოს და მეურნეობა გამართოს. ამბო-

---

# ფელტონი

## ოთხმოცდა-ცამეტი

რომანი

ვიქტორ ჰიუგოსი

ტურგის სასახლესთან ორივე მეომარ მხარემ მთელი ღამე მომზადებაში გაატარა. მეორე დღეს იერში უნდა დაეწყოთ. ლანტენაკს ღამე არ დაუძინია; მან მოახდინა სხვა და სხვა განკარგულება, თავის ხელით მუშაობდა, და ამხნევებდა ის თავის სალდათებს. ტურგს ყველა მხრით მაგარი ქვის კედელი და რკინის კარები ჰქონდა, ასე რომ შიგ სახლში შესვლა შეუძლებელი იყო: ან უნდა დაენგრიათ, ან უნდა დაეწვათ სახლი. გუვენს არც ერთ და არც მეორე არ უნდოდა. იმას ყმაწვილების დახსნა უნდოდა. როგორ უნდა დაეხოცა სამი უმანკო ყმაწვილი, რომელნიც ერთი იმის ბატალიონისაგან იყვნენ ნაშვილევნი? ეს იყო იმის მიზეზი, რომ ამდენი ხანი ვერ აიღო ეს სასახლე და ვერ დაიმორჩილა ის ცხრამეტი კაცი და ლანტენაკი, რომელნიც იქ იყვნენ შემწყვდეულნი. იმან მოიხმო თავის თანაშემწე და მისცა ბრძანება, ისეთი მაღალი კიბე ეშოვნა სადმე, რომ სასახლის მესამე ეტაჟას შესწვდენოდა. თუ ცეცხლი წაუკიდეს, ამ კიბეს მიადგამ, კაცებს შევგზავნი ფანჯრიდამ და იმ სამ ყმაწვილს დავიხსნიო, ჰფიქრობდა გუვენი.

---

მეორე დღეს, როცა დანიშნულმა საათმა მოაწია, სიმურდანმა მედოლეს უბრძანა, დოლი დაეკრა. ამის პასუხად, სასახლიდამ ბუკის ხმა მოისმა და ერთი კაცი სახურავზე გამოვიდა. სიმურდანი თეთრი ხელსახოცით მიუახლოვდა კედელს, ასწია თავი და მაღალი ხმით სთქვა:

— კოშკში დამწყვდეულო კაცებო! მიცნობთ მე? ერთმა ხმამ პასუხი გასცა: გიცნობთ.

— მე რესპუბლიკისაგან ვარ გამოგზავნილი.

— შენ ძველი პატრი ხარ.

— მე ვარ საზოგადოების დამცველი კომიტეტის დელეგატი; კანონის წარმომადგენელი ვარ.

— შენ მოღალატე ხარ.

— მე რევოლიუცის კომმისსარი ვარ.

— უპირული ხარ

— მე ვარ სიმურდანი.

— ბოროტი სული ხარ.

— ქმაყოფილი იქნებით, ჩემი თავი რომ ჩაიგდოთ ხელში?

— ჩვენ აქ ცხრამეტი ვართ და ყველა შევწირავთ სიცოცხლეს, ოღონდ შენი თავი ჩავიგდოთ ხელში.

— მაშ კარგი, მოვდივარ თქვენთან, გემორჩილებით.

ზევიდამ მხეცური სიცილი მოისმა.

— მოდი, მოდი.

— ერთი პირობით, სთქვა სიმურდანმა.

— რომელით?

— გაიგონეთ.

— თქვი.

— მე თქვენ გძულვართ განა?

— დიახ.

— მე, მე თქვენ მიყვარხართ. მე თქვენი ძმა ვარ.

— დიახ, კაინო.

— მლანძღავთ, მაგრამ გაიგონეთ: დიახ, მე თქვენი ძმა ვარ. მე სინათლე ვარ და უმეცრებას, სიბნელეს ველაპარაკები. სინათლეში ძმობაა. ამას გარდა ყველას ერთი დედა გვყავს: სამშობლო ქვეყანა. მაშ ეგრე, გაიგონეთ: შემდეგში თქვენ გაიგებთ, ან თქვენი შვილები, ან თქვენი შვილების შვილები გაიგებენ, რომ რაც ეხლა ამბავი ღვთის განგებისაგან არის. ეხლა მე მოვდივარ თქვენთან და ჩემ თავს გაძლევთ. აქას თქვენივე სიკეთისთვის ვშვრები; ბევრს თქვენგანს ცოლშვილი ეყოლება. მე მინდა იმათი დამფარველი ვიყო, ჰოი, ჩემნო ძმანო!

— იქადაგე, იქადაგე, ჰო!

— ჩემნო ძმანო, განაგრძო სიმურდანმა, რათ გინდათ ტყვილ-უბრალოდ დაჰღვაროთ სისხლი? თქვენი თავი არ გებრალებათ? რათ ეშურებით ამდენი კაცის სიკვდილს, როდესაც ორიც საკმაო იქნება!

როგორ თუ ორიო? მოისმა კოშკიდამ.

— ჰო, ორი: ლანტენაკი და მე. ორი კაცი საკმაო: ჩვენ ლანტენაკი გვეყოფა და თქვენ ჩემი თავი. გაიგონეთ: ლანტენაკი მოგვეცით და ჩემი თავი წაიღეთ. ჩვენ ლანტენაკს გილიოტინით თავს გავაგდებინებთ და თქვენ მე რაც გერჩიოსთ, ის სასჯელი დამდევეეით.

— პატრო! ნეტავი შენი თავი მოგვეცა ნელ-ნელა შეგწვავდით.

— თანახმა ვარ. თქვენ ხომ აუცილებელი სიკვდილი მოგელისთ? თუ დათანხმდებით, სიცოცხლე და თავისუფლება მოგენიჭებათ. დათანხმდით.

— მარტო ბოროტი სული კი არა, გიჟიც ყოფილხარ. რად გვაწუხებ უბრალო ლაპარაკით? როგორ? შენ ტყავში ჩვენი ბატონის თავი გავცვალოთ? რა გინდა? რას თხოულობ? გაგვეცალე აქედამ!...

— საზარელი საქმე მოხდება. უკანასკნელად გეუბნებით: კარგათ მოიფიქრეთ.

— არასოდეს.

— ლანტენაკის თავი გვინდა.

— ვერ მოგართვით.

— მაშ დაიწყეთ! მიმართა სიმურდანმა თავის ჯარს.

---

სალდათებმა ასწიეს თოფები. რამდენიმე ასი თოფის ხმა მოისმა. შეიქნა საშინელი ბრძოლა. ოთხი საათის განმავალობაში თოფის ხმა არ შეწყნარებულა. რესპუბლიკელებს ოცზე მეტი ჰყავთ მოკლული. ლანტენაკის ჯარი ლომივით იბრძვის. იმას მაგარი, შეუვალი ალაგი უჭირავს; მაგრამ თითო-ოროლა კაცი იმასაც აკლდება. ბოლოს კარები შეამტვრიეს. იმ ბატალიონიდამ, რომელსაც სამი ყმაწვილი იშვილა, რვა კაცია დარჩენილი გუვანის ჯარში. ისინი სთხოვენ თავის სარდალს, რომ სახლში შეცვივნის ნება მიეცესთ. გუვანი ნებას აძლევს. ისინი შევლენ პირველნი, მერე იმათ სხვები შეჰყვებიან. ლანტენაკის კაცები უსისხლოთ ერთ ნაბიჯს არ უთმობენ; მაგრამ რამდენსამე ასს კაცს სად წაუვლენ. აი, რესპუბლიკელებმა პირველი ეტაჟა დაიჭირეს კოშკისა. ლანტენაკის კაცები მეორე ეტაჟაში ადიან. ეხლა აქ არის გაცხარებული ბრძოლა. სისხლის ნიაღვარით კედლები და იატაკი შეღებილია. ლანტენაკს ექვსი კაცის მეტი აღარა ჰყავს. ის მიდის მესამე ეტაჟაში და იქ მაგრდება. თოფის წამალიც შემოაკლდა: თითო კაცს ორ-ორი გატენილი დამბაჩა უჭირავს ხელში. ლანტენაკი მოიხმობს იმათთან მყოფს და მებრძოლ პატრს; ყველანი ალსარებას ეუბნებიან. ექსივე ამბობს: „მე კაცის მკვლელი ვარო“.

— ეხლა მოვკვდეთო! ამბობს ლანტენაკი.

— და მტერი მოვკლათო! დაუმატებს ერთი იმის სალდათი.

— ღმერთზედ იფიქრეთ, დედა-მიწა თქვენთვის აღარ არსებობსო! თქვა პატრმა.

— მართალია, კუბოში გვიდგას ფეხებიო! თქვა ლანტენაკმა.

ერთი წამის შემდეგ რესპუბლიკელები, უეჭველია, შეამტვრევენ კარებს. იმათი აღსასრულის დრომ მოაწია. ყველა მზათაა სასიკვდილოთ. ამ დროს უეცრათ ერთ კედელს ქვევით ერთი დიდი ქვა მოტრიალდა, გადაბრუნდა და ძირს დაეცა. ყველამ უკან მოიბრუნა პირი. ქვის ალაგას გამოჩნდა კარგი დიდი ხვრელი და ქვევით ჩასასვლელი კიბე. ხვრელიდამ ამოძვრა ის მენავე, რომელიც ერთხელ ლანტენაკს მოკვლას უპირებდა. ყველანი გაოცებულნი იყვნენ.

— ხომ კარგ დროს მოგასწარითო? ჰკითხა მენავემ. ფიქრის დრო აღარ არის! მიბრძანდი მარკიზო! ჩადით ამ კიბით. ათი მინუტის განმავალობაში ეს ხვრელი ტყეში გაგიყვანთ და თქვენ თავს გადირჩენთ.

— დიდებულო ღმერთო, სთქვა პატრმა.

ლანტენაკმა ჯერ წაუკიდა სახლს ცეცხლი, მერე უბრძანა თავის ექვს კაცს, პირველად ისინი ჩასულიყვნენ ხვრელში და გაქცეულიყვნენ. უკანასკნელი თითონ დარჩა. იმან ამოიღო ჯიბიდამ კარანდაში, დაეყუდა გადაბრუნებულ ქვას და დააწერა ზედ:

„ნახვამდის, უფ. ვიკონტ გუვანო! ლანტენაკ.“

შემდეგ ჩაძვრა ხვრელში და ნელ-ნელა წავიდა. ის დაფიქრებულია. თითქო უნებლიეთ მიდის წინ. აი, ხვრელიც თავდება და ლანტენაკი მალე ტყეში იქნება. ის თავისუფალია. ამ დროს ზევიდამ საშინელი ხმა მოესმა.

სალხს თითქმის ყოველის მხრით მოედვა უცბათ ცეცხლი. პირველი და მესამე ეტაჟა თითქმის სულ ალშია გახვეული. ნახევარი საათი კიდევ და მთელი სახლი ცეცხლის მსხვერპლად შეიქნება. გუვანის სალდათები სცვივიან ცეცხლში, თავდაუზოგველად მივარდებიან ერთი ოთახიდამ მეორეში. ეძებენ სამ ყმაწვილს; მაგრამ ვერ პოულობენ. ისინი მეორე ეტაჟის ერთს მიყრუვებულ ოთახში არიან გამომწყვდეულნი. მეოთხედი საათის შემდეგ, ამ ეტაჟასაც მოედება ცეცხლი და მერე იმათი შველა შეუძლებელი იქნება. სამი უმანკო არსება უნდა დაიწვას.

— მე მცხელაო! ამბობს პატარა ქალი ჟორჟეტა.

— მეც მცხელაო! იძახის უმცროსი ვაჟი.

— მეც მცხელა! ამბობს უფროსი ვაჟი. ყველანი ფანჯარასთან არიან დამდგარნი.

ამ დროს ამათი დედა, მიშელ ფლეშარი, გამწარებული, ტანისამოს შემოგლეჯილი, რამდენიმე დღის უჭმელი მოდის ტყეში. ის სინათლეს შენიშნავს, და-

ბენ, რომ ამ კამპანიაში ორი ბანკის კანტორა ურევია. ეს გაგრძელებაა იმ დასაწყისისა, რომელზედაც მარტში „დროების“ № 42-ში რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი. დასასრული ჯერ არ არის, მაგრამ ყოველივე ამ გვარი ახალი ფაქტი დასასრულს აახლოვებს.

— დროების № 418 ნომერში ჩვენ გამოვიწერეთ „კავკაზიდგან“ ზოგიერთი ცნობები რაჭისა და ოზურგეთის მაზრებში კითხვა-წერის გავრცელებაზედ. ეხლა ამ საგანზედ „კავკაზს“ მეორე კორრესპონდენცია მოსვლია, რომელიც ამბობს, რომ პირველი კორრესპონდენტის სიტყვებში ერთი იოტის ოდენა სიმართლე არ არისო... ის ამბობსო, რომ რაჭაში 33 სასოფლო საზოგადოება არისო და თითოეულს საზოგადოებას მშვენიერი ორ ეტაჟიანი ქვის შკოლები აუშენებიაო. მართალია ყოველ საზოგადოებაში არის ორ ეტაჟიანი ექვს თვალი სახლი, მაგრამ ეს სახლი ქვის არ არის და არც საშკოლეთ არის აშენებულიო, ეს სახლები ს. ზებსა და შქმერს გარდა, ყველგან ხის არის და სასოფლო სამმართველოსთვის დანიშნული. შკოლები ჩვენში ოცდა ცამეტი კი არა, მარტო შვიდი არისო: ს. ტოლსა სადმელს, წესს, ბუგეულს, ამბროლაურს, სხვავს და ხოტევს. და ამ სოფლებშიაც შკოლა ხსენებული სახლების ბნელს ქვედა ეტაჟაში არის გამართული. ზედა ეტაჟაში, რომელშიაც უფრო დიდი და ნათელი ოთახებია, სოფლის მსაჯულების სხდომები იმართება სამჯერ თუ ოთხჯერ თვეში და ამიტომაც ეს ოთახები ისე წმინდად ინახებიან, რომ კორრესპონდენტი გაუკვირვებიაო. ორი წლის წინათ მთელს რაჭაში, ონს გარდა, შკოლა არსად არ ყოფილა და ძალიან კარგათაც რომ ასწავლიდენ აქაურს შკოლებში, მაშინაც შეუძლებელია, რომ ორი წლის განმავლობაში ყმაწვილებს კურსი გაეთავებინოსთ და კანონიერი რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი ესწავლოსთ.

რაც შეეხება ოზურგეთის უეზდს, მგონია რომ იმაზედაც ტყუილი ცნობები შეუტყობინებია „კავკაზისათვის“ უფ. კორრესპონდენტს. როგორც ვიცი, ოზურგეთის მაზრაში უფრო ბევრი შკოლებიაო, თითქმის ოთხი იმოდენი, რაც რაჭაშია. შკოლების ინსპეკტორი 1872 წლის საშკოლო ანგარიშში ამბობს, რომ ოზურგეთის მაზრაში შკოლა ოცამდის არისო და იქაური ხალხი უფრო თანამგრძნობია შკოლებისა, ვინემ სხვა მაზრების მცხოვრებლები.

## «დროების» კორრესპონდენცია

ხონი, 28 აპრილს 1874 წ.

დღეს ხონში წარმოადგინეს ორი პიესა გაყრა და ძუნწი ხონის უფასო საქალებო სასწავლებლის სასარგებლოთ. წარმომადგენელნი პირნი იყვნენ უმეტესი ნაწილი თ. წულუკიძეები და იმათი სახლობა.

სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ვსთქვათ, რომ ხონში ძალიან ცოტა თანამგრძნობელები გვყავანან. მე ვფიქრობდი, რომ ხონის საზოგადოება ამ კეთილ და სასარგებლო საქმეში ბევრს შემწეობას აღმოუჩენს თქო სასწავლებელს, მაგრამ მოვსტყუვდით! თ. წულუკიძეები და მათი სახლობა თავდადებული არიან ამ საქმეში, არ ზოგვენ არც პირადს შრომას და არც მატერიალურ შემწეობას. განა ღვთის საწყენი იქნება, ხონელებმაც, რომელთაც არა უჭირსთ რა, ორი კაპეიკი თავის ნაშრომისაგან შკოლას მოახმარონ. განა საგრძნობს რასმეს შეადგენს მათთვის ეს შემწეობა? განა უხეირო და უსარგებლო საქმეში არ ხარჯვენ ხონელები ფულებს? განა თავადი წულუკიძეების შვილები იზრდებიან ამ შკოლაში? მაშ რისთვის ზრუნვენ? მისთვის, რომ შემოვიდეს ხონის არე-მარეში რაოდენიმე სწავლა, რადგანაც ეს ხონი შეადგენს ქუთაისის უეზდის შუაგულს და ცოტა ოდენი განათლების ბიჯი უნდა წაადგას სხვაზედ უწინ. ამგვარს მათის შვილების სასარგებლო საქმეში თანამგრძნობლობა შეძლების დაგვარად განა არ უნდა აღმოაჩინონ ხონელებმა. გიორგობა, როგორც მოგეხსენებათ, ერთი უმთავრესი დღესასწაულთაგანი არის ხონში. მცხოვრებლებს მოწვეულნი ყავანან თავის მოყვრები და ნაცნობნი; ყოველს სახლში გაიმართება მეჯლიში, ვინ იცის რამოდენი ღვინო დაიხარჯება, შინ მოსული კი არა, სულ ფულით ნაყიდი, ასე რომ ფხიზელ კაცს ველარ ნახავ! განა ის მომეტებული ღვინოს ფასი რომ შესწირონ შკოლას, ღვთის საწყენი იქნება? მაგრამ როგორღაც გულ-ცივათ ეკიდებიან ამ საქმეს.

სპექტაკლის და ალეგრის თამაშისაგან შემოვიდა 168 მან. 40 კოპ. აქედამ დაიხარჯა 58 მან. 51. კაპ. დარჩა ნაღდი ფული 109 მან. 89 კაპ., მაგრამ დახარჯული ფული უმეტესი ნაწილი ნივთების ყიდვაში არის გასრული, რომელნიც ნახევარზე მეტი დარჩა შკოლის სასარგებლოთ, ასე რომ შემდგომისათვისაც გვაქვს ნივთები ალეგრის სათამაშებლოთ.

წარმოიდგინეთ მკითხველო, რომ სპექტაკლზედ ხონის მცოვრებთაგანი იყვნენ მხოლოდ სახლობით შვიდნი აზნაურნი, სხვები კი ისევ წულუკიძეების სახლობა იყო და ზოგი მოსრულნი გარეშე პირნი!

აი ხონელების თანაგრძნობა! მოდი ახლა და იფიქრე რამე კარგი საქმე! ღმერთსა ვსთხოვ, რომ არ განგრძელდეს მათში ამ გვარი გულგრილობა ამ კეთილის და სასარგებლო საქმისათვის. ბოლოს უნდა ვსთქვა, რომ ხონი დავალებულია აზნაურის ივანე ბლახუას ძის ქუთათელაძისაგან, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა წარმოდგენის დროს და დაარსებიდგან შკოლისა არ ზოგავს თვის შრომას, თუ კი შეხვდება რამე შესახებ შკოლისა.

ხონელი მოამბე.

## წერილი რედაქტორთან.

უფალო რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი წერილი „დროების“ მახლობელ №-ში დაბეჭდოთ, რომ მ. რაჟდენ ბიგაუროვმა და „დროების“ მკითხველებმა ნამდვილათ შეიტყონ, თუ ვინ არის ჭორიკანა, ცრუ პენტელა, კიბოსძე და, თუ გნებავთ, ამაზედ გარდამეტიცა. მ. ბიგაუროვი თავის „ორიოდე სიტყვაში“ („დროება“ № 420) ჩემ კორრესპოდენციაზე მე მაწერს ზემო ხსენებულ თვისებებს და ამბობს, რომ იმისი კორრესპონდეცია ტყუილია და მე ნამდვილათ გაცნობებთო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში მომხდარ საქმეს, მასწავლებლების ევროპაში გაგზავნის შესახებ. მე არა ფერს ვიტყვი იმაზედ, თუ რისთვისაც მლანძღავს მ. ბიგაუროვი, მხოლოდ წაგაკითხებთ საბუთებს და გაცნობებთ იმ აზრებს, რომელნიც მ. ბიგაუროვმა წარმოსთქვა და რომელნიაც ჩემს კორრესპონდენციაში არ მომიხსენებია. ჩვენს დროში მარტო სიტყვით ვერაფერს დაამტკიცებს კაცი, საქმე საბუთებში მდგომარეობს და მე ძალიან მიკვირს, რათ არ ისარგებლა მ. ბიგაუროვმა იმ საბუთებით, რო-

---

ადგება ამ სინათლისაკენ და პირ და პირ კოშკისაკენ მიეშურება, აი, კოშკიც, ცეცხლ-მოდებული, ალისაგან ჩაყლაპული. დედა უიმედოთ ჩერდება ქვევით და დაუწყებს ზევით ცქერას. ერთ ფანჯარასთან რაღაც სამი თავის მსგავსი აჩანს. დედა-კაცი კიდევ უფრო აკვირდება ამ ფანჯარას. უეცრად ცეცხლმა გაანათა და მაშინ ფლეშარი სამ ყმაწვილს დაინახავს.

დედამ იცნო თავის შვილები. ერთი საშინლად დაიყვირა...

ეს ის ყვირილი იყო, რომელიც ლანტენაკს ხერელში მოესმა. ლანტენაკი გაჩერდა.

— შვილებო! იძახოდა გამწარებული დედა. ჩემი შვილები! უშველეთ! არავინა ხართ? ღმერთო ჩემო! ადამიანის სული გიდგათ, თუ არა! ვერ ხედავთ, ჩემი შვილები იღუპებიან? ავაზაკებო! ეს რას ეხედავ, ღმერთო! გაგონილა ამისთანა ამბავი! მითხარით, რას ნიშნავს ეს. ჩემი შვილები იწვიან! მიშველეთ! უშველეთ! ღმერთი არა გწამთ! ღამის გაეგიჟდე! ჟორჟეტა! გროსალენ! რენე-ჟან! ჩემო შვილებო!

შვილებმა დედა იცნეს!

— დედა! დაიძახა ჟორჟეტამ და გაუშვირა ზევიდამ ხელები.

— დედი! გაიძახა მეორემ. მოდი, ცხელა!

— დედა! დაიყვირა მესამემ.

გუვანი და იმის სალდათები შესცქეროდნენ ამ საზარელ, გულ-მოსაკლავ სურათს; მაგრამ შველის ღონის ძიება არ იყო: მთელს სახლს ცეცხლი მოედვა, შესვლა არ შეიძლებოდა, რადგან კიბე არ ჰქონდათ.

ამ დროს უეცრად იმ ფანჯარაში, რომელშიაც ეს სამი ყმაწვილი იყო გამომდგარი, და რომელსაც ცეცხლი თან და თან უახლოვდებოდა ერთი ჭაღარა თმიანი, მაღალი, მოხუცებული კაცი გამოჩნდა და ისევ დაიმალა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხელ-მეორეთ გამოჩნდა: ეხლა იმას ერთი დიდი უშველებელი კიბე ჰქონდა მხარზე მიყუდებული. ყველა სულის დაწანწით შესცქეროდა იმას. დედას ხმა ჩაუვარდა. მოხუცებულმა გამოაყოფია კიბეს ერთი თავი ფანჯარაში და ძირს, მიწამდი ჩამოუშვა.

გუვანის სალდათები იმწამსვე აცვივდნენ ზევით ამ კიბით, სტაცეს ყმაწვილებს ხელი, თითო-თითოთ ჩამოიყვანეს ძირს და ჩააბარეს დედას.

ნამეტანის სიხარულისაგან აღელვებულს დედას გული წაუვიდა.

— ყველანი მშვიდობით არიან? გადმოსძახა მოხუცებულმა ძირს მყოფებს. ყველანი მშვიდობით იყვნენ, მოხუცებულს გარდა. იმას ყოველ წამს იატაკის თავზე დაწოლა და ცეცხლში გამოხვრუკა მოელოდა.

მოხუცი ერთ წამს დაფიქრებული იყო ფანჯარაზე გადმომდგარი. მერე წყნარად, აუჩქარებლივ, ამაყად შედგა ფეხი კიბეზე და ხელ მოუკიდებელად ძირს ჩამოსვლა დაიწყო. ვინც კიბეზე იყვნენ, გზა უტიეს. გაჭაღარავებული, სასტიკი შეხედულების, მარმარილოს ფერი მოხუცი ამაყად მოდიოდა კიბეზე. უკან ცეცხლი დასტოვა, წინ იმის მომაკვდავი მტერნი უდგნენ. როდესაც უკანასკნელი ნაბიჯი ჩამოადგა კიბიდამ და მიწაზე დადგა სიმურდანმა დაიძახა:

— მე შენ გატყვევებ.

— მე შენ გამართლებო! უთხრა ლანტენაკმა.

სიმურდანის ბრძანებით, ლანტენაკს მოჰკიდეს ხელი და ერთ ოთახში ჩაამწყვდიეს. სიმურდანმა განკარგულება მოახდინა, რომ თავსაკვეთი ჩარხი (გილიოტინა) მოეტანათ. მეორე დღეს სამხედრო სამსაჯულოს სხდომა უნდა ყოფილიყო და ლანტენაკისთვის თავი უნდა გაეგდებინათ.

გუვანი დაფიქრებულია. იმის თვალში ლანტენაკი სრულებით შეიცვალა. ყმაწვილების დახსნის შემდეგ, ის გუვანს ძველ მარკიზ ლანტენაკად აღარ ეჩვენება. დიდხანს ჰფიქრობდა ის ლანტენაკის წარსულ საქმეებზე, იმის შეუბრალებელ მოქმედებაზე, იმაზე თუ რამდენი ვნება და დაბრკოლება მისცა საფრანგეთის ბედნიერებას, რამდენი უმანკო ოჯახი დალუპა, რამდენი სოფელი დაწვა და სხ. მაგრამ იმის უკანასკნელმა მოქმედებამ, გუვანის თვალში, ყველა წინანდელი ცოდვები შეუნანა. ის კაცი, რომელთაც თავის დაუზოგველად შევარდა ცეცხლში, სამი ყმაწვილს დასახსნელად, ბოროტი კაცი არ უნდა იყოსო. კაცმა უნდა შეიბრალოს ის მტერი, რომელიც თვითონვე, თავის ნებით უმორჩილდებაო. ყოველი კაცი შემბრალებელი, მაპატიებელი და არა დამტუქსელი უნდა იყოსო, ჰფიქრობდა გუვანი. იმან გადასწყვიტა, რომ ლანტენაკი სიკვდილისაგან დაეხსნა. —

გუვანი მიდის იმ სახლისაკენ სადაც ლანტენაკი დამწყვდეულია. წინა ოთახში სიმურდანისაგან დაყენებული სალდათები უყარაულებენ. იმის ბრძანებით, ყარაულები გაალებენ კარებს, შეუშვებენ ტუსაღის ოთახში და ისევ ჩაჰკეტენ კარებს. გუვანი გადააცმევს ლანტენაკს თავის ტანისამოსს, ყარაულებს დაუძახებს: „კარები გამიღეთო!“ და გაუშვებს იმას წინ, თვითონ კი იმის აღაგას რჩება სატუსაღოში.

დაღამებულია, ყარაულები ვერაფერს ხედავენ, იმათ ლანტენაკი თავის უფროსი გუვანი ჰგონიათ და გაუშვებენ.

მეორე დღეს ეშაფოტი, თავსაკვეთი ჩარხით, დილიდამვე დამზადებულია. სამხედრო სამსაჯულო სატუსაღოს გვერდით არის გამართული, ერთს პატარა ოთახში. თავსმჯომარედ სიმურდანია, ერთ მსაჯულად კაპიტანი გეშან, მეორე მსაჯულად სერჟანტი რადუ მაყურებლებად სალდათები.

შუადღეზე სხდომა გაიხსნა. სიმურდანი თავ ჩაღუნული შემდეგ სიტყვებს სწერს:

„მოქალაქენო საზოგადო დაცვის კომიტეტის წევრნო. ლანტენაკი დაჭერილია. ხვალთავსმოვკვეთთ“. დაკეცა ქაღალდი, დაბეჭდა და შემდეგ სალდათებს მიუბრუნდა:

— სატუსაღოს კარები გააღეთ და ტყვე შემოიყვანეთ.

კარები გააღეს და ორი სალდათი შევიდა ოთახში დატუსღებულის გამოსაყვანად.

სალდათებმა ტუსაღი გამოიყვანეს.

ეს ტუსაღი გუვანი იყო.

სიმურდანს ტანში გააზრიალა.

— გუვან! დაიყვირა იმან. მე ვთქვი ტყვე მომიყვანეთ მეთქი, მიმართა იმან სალდათებს.

— ტყვე მე ვარო, სთქვა გუვანმა.

— შენ?

— მე.

— ლანტენაკი?

— თავისუფალია.

— თავისუფალია?

— დიახ.

— გაიქცა?

— გაიქცა.

— მართლა; ამ სახლში იმან ყველა ხვრელები იცის და ცუდათ მოგვივიდა, რომ აქ დავამწყვდიეთ..... აქედამ გაქცევისათვის არავის დახმარება არ დასჭირდებოდა.

— მე მოვეხმარე, მე გავაქციე, სთქვა გუვანმა.

— შენ?

— მე.

— სიზმარში ხო არა ხარ!

— მე შევედი იმის ოთახში, გარდავაცვი ჩემი პალტო, პირი-სახეზე კაპიუშონი ჩამოვაფარე და გამოუშვი. მე კი იმის აღაგას დავრჩი, როგორც მხედავთ.

— შენ ეს არ გიქნია!

— მე ჩავიდინე.

— შეუძლებელი საქმეა!

— ნამდვილია.

— მომიყვანეთ ლანტენაკი!

— ლანტენაკი აქ აღარ არის; ის წუხელი გავაქციე.

— შენ გიჟი ხარ.

— მე ვამბობ რაც მოხდა.

— მაშ შენ ღირსი ხარ..

— სიკვდილით დასჯისა, მოათავა გუვანმა.

სიმურდანს მკვდრის ფერი ედვა. მეხ დაცემული კაციევით გაშტერებული იყო და სულთქმა შეხუთული ჰქონდა. მიუბრუნდა სალდათებს და უთხრა:

— დასვით ბრალდებული.

გუვანი დაჯდა.

— ხრმალი ამოიღეთ.

სალდათებმა ამოიღეს ხრმალი და, წესისამებრ, მაღლა დაიჭირეს. ცოტახნის სიჩუმის შემდეგ. სიმურდანი მიუბრუნდა გუვანს და მხნე ხმით უთხრა.

— ბრალდებულო, ადექით. „შენის“ მაგიერ ეხლა „თქვენს“ ეუბნებოდა.

გუვანი ადგა.

— თქვენი სახელი? ჰკითხა სიმურდანმა.

— გუვან.

— ვინა ხართ თქვენ?

— მე ვარ კოტ-დუ-ნორში გაგზავნილი ბატალიონის უფროსი.

— ნათესავი ხართ იმ კაცისა, რომელიც გააქციეთ.

— იმის ძმის შვილის-შვილი ვარ.

— ამოირჩიეთ დამცველი.

— მე თვითონ დავიცავ ჩემ თავს.

— სიტყვა თქვენ გეკუთვნისთ.

გუვანი ერთ წამს დაფიქრებული იყო.

— რას იტყვით თქვენი თავის გასამართლებელათო? ხელმეორეთ ჰკითხა სიმურდანმა.

გუვანმა ასწია ნელა თავი და სთქვა:

— აი, რას: ერთმა საქმემ სხვები დამიმალა, ერთმა კეთილმა მოქმედებამ, რომელიც ახლოს ვნახე, სხვა ბევრი ბოროტება დამავიწყა. მე დამავიწყდა მოხუცებულისაგან დამწვარი სოფლები, გასისხლიანებული ბრძოლის ველები, მოკლული ტყვეები, დახვრეტილი დედა-კაცები; დამავიწყდა საშობლოს ღალატი, მე მივეცი თავისუფლება მამულის მოღალატეს. მე დამნაშავე ვარ.

— მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი?

— ერთ სიტყვას დავუმატებ: მე ჯარის

მელნიც იმას თავის მდგომარეობისა გამო უნდა ჰქონოდა. ახლა მე წინ მიძევს საქმე სამეგრ. სასულ. სასწავლ. სამმართველოსი, მასწავლებლების ევროპაში გაგზავნის შესახებ, თავიანთ საგნის და საქმის კარგათ შესასწავლათ. ამ საქმის პირველ ფურცელს შეადგენს წერილობითი წინადადება სასწავლის ზედამხედველის ზურგენიძისა, შემოტანილი სამმართველოში ამ წლის 21 მარტს და იმავე დღეს ჩაწერილი შემომავალ ქაღალდების წიგნში, № 85 ქვეშ. ამაში ვკითხულობთ: „Въ видахъ поднятія учебной части училища до требуемаго уставомъ духовныхъ училищъ совершенства, желательно, чтобы ежегодно отправляемъ былъ одинъ изъ наличныхъ наставниковъ въ Россію, а если нужно будетъ и заграницу“...... მაშ როგორღა ამბობს მ. ზიგაუროვი, ისიც ფრჩხილებ-შუა, რომ რუსეთში გაგზავნაზედ სიტყვაც არ იყოო. ვინ არ იცის, რომ იქ სუყველა წინადადება უ. ზურგენიძის წერილისა ჯერ უნდა გუნებიერათ წაკითხული იყო, და შემდეგ იმათზე ყველასაგან მსჯელობა მომხდარიყო. მაშა სადამე პირველი აზრი მ. ზიგაუროვისა ტყუილია. მ. ზიგაუროვი ამბობს აგრეთვე, რომ ზედამხედველის წინადადებაზედ მე განვაცხადეო: „რომ საზღვარ გარეთ გაგზავნა (რუსეთში გაგზავნაზედ სიტყვაც არ იყო) კარგი არ იქნება, და არ გვეუბნებაკი, თუ რისთვის არ იქნება კარგი. სამმართველოს სჯაში იმან წარმოსთქვა, ეს იმისთვის არ იქნება კარგი რომ სამგზავროთ გაგზავნილი მასწავლებლები აქ მოსვლის შემდეგ ადვოკატობას (ვექილობას) დაიწყებენ და ჩვენ მათთან ველარაფერს გავწყობთო. ასე რომ ზიგაუროვის აზრით სასწავლებელი კარგად მოუმზადებელი მასწავლებლებითაც კმაყოფილი უნდა იყოს, თუ სურს, რომ ზოგი საზღვარს გარეთ ნასწავლი ოსტატი შკოლას არ მოსცილდეს და ადვოკატობას არ შეუდგეს. რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

წავიკითხოთ ქვევით მ. ზიგაუროვის ორიოდე სიტყვა. მე განვაცხადეო, ამბობს მ. ზიგაუროვი, რომ ევროპაში ნასწავლი კაცი არ დადგება სამეგრელო სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად არც ერთს დღეს იმ ჯამაგირით, რაც დღეს მას ეძლევა.“ ეს განცხადება მ. ზიგაუროვის მხრით სწორეთ იყო, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ საქვეყნოთ ამას აცხადებს შემდეგ ჟურნალური დადგინებისა, რომელზედაც ის ხელს აწერს, თუმცა თანხმა კი არა ხდება, რომელიც იმას, რასაკვირველია, წაკითხული აქვს, და რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „Всѣ они (наличные наставники училища) изъявили согласіе подчиниться предлагаемымъ смотрителемъ училища въ его запискѣ условіямъ, съ присовокупленіемъ, что въ противномъ случаѣ они предоставляютъ полное право Правленію не выдавать имъ ихъ документовъ, или взыскивать деньгами сумму не меньше той, которая на путешествіе будетъ издержана“. მოგზაური მასწავლებელი ვალდებულ არს ჟურნალური დადგინებით წასვლის დროს ხელ-წერილი მისცეს სასწავლებლის სამმართველოს. ამის შემდეგ რაღა პირით აცხადებს მ. ზიგაუროვი თავის აზრს, ან არა და როგორღა ფიქრობს ის იმას, თუ მგზავრობიდგან მობრუნებული მასწავლებელი სასწავლებელში აღარ დადგებაო? მაშ აბა სად წავა, როდესაც გზა არ ექნება გახსნილი სხვა თანამდებობაში შესვლისა? მ. ზიგაუროვს ისიც ვერ მოუფიქრებია, ამას გარდა, რომ ყოველ კაცს იმ საქმისაკენ უფრო მიდრეკილება აქვს, ის საქმე უფრო უყვარს, რომელიც იმას აქვს კარგათ საფუძვლიანათ შესწავლილი. „ევროპაში მასწავლებლების გასაგზავნათ და იქ ერთ წელიწადს სამყოფად სამღვდელოებას არ მოეძიება საშუალება.“ განვაცხადეო ამბობს, და ამასაც დავუმატეო: „რადგანაც ავად-მყოფობასაც უნდა მოელოდეს და მაშინ მისთვის დანიშნული ჯამაგირი მას ვერ შეინახავდა, მომეტებულს კი ველარ გაუგზავნიდა დალარიბებული და ლონეგამოლეული სამღვდელოებაო.“ თქვენი ცოდვო მქონდეს, თუ ამაზედ რამე განეცხადებინოს სამმართველოს სჯაში, და ან როგორ უნდა ესთქვა, როდესაც თითით გარჩეულს ხორბალსავით დაწერილი წერილი სასწავლებლის ზედამხედველისა წინ გვედო და აღმოვიკითხეთ კიდეც იქიდგან, რომ მასწავლებლები უნდა გაგზავნონ სამოგზაუროდ მასწავლებლების და არა სამღვდელოების ხარჯზედ. ზემოხსენებულ ზედამხედვლის წინადადების სიტყვებს შემდეგ ვკითხულობთ: „для освоенія съ новѣйшими методами и пріемами преподаванія того предмета училищнаго образованія, какой онъ преподаетъ, на счетъ наставниковаже. Это можно устроитъ такъ: наставнику, путешествующему съ извѣстнаго цѣлью, будетъ высылаться слѣдуемое ему жалованіе, а предметъ его будетъ преподаваться безмездно наличными наставниками, на что всѣ они и изъявляютъ полное свое согласіе“. ახლა, ვგონებ ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს ისა, რომ სამმართველოს სჯაში არავინ არ დაიწყებდა და არც ილაპარაკებდა მასწავლებლების სამოგზაუროდ გაგზავნაზე სამღვდელოების ხარჯით და ან რა საფუძველი ექნებოდა ვისმე ამ ლაპარაკისა, როდესაც „დალარიბებული და ლონე გამოლეული სამღვდელოება“ სასწავლებლის შესანახავ ფულის შეტანაზედაც სუსტათ ბძანდება? ხოლო რაც შეეხება მგზავრი მასწავლებლის ავად-მყოფობას, ეტყობა მ. ზიგაუროვს არა სცოდნია, რომ თითქმის ყოველ რუსეთის დიდ ქალაქებში არის უფასო საავათმყოფო; გინდ ესეც არ იყოს, განა მასწავლებლები, რომლებიც გზავნიან თავიანთ ხარჯზედ, ვერ მისცემენ შემწეობას ავად-მყოფ მოგზაურ მასწავლებელს?—იმათ ბევრი სხვა საშუალებაც აქვსთ ამისთვის გამოგონებული, რომლებიც თავათ მ. ზიგაუროვისათვისაც ცხადი უნდა იყოს, თუ „დროების № 819-ში წაუკითხავს კასსის და ხარაგეული მაგაზინის გაკეთებაზედ.“

მე განვაცხადეო, ამბობს კიდევ მ. ზიგაუროვი, რომ სასწავლებელში ამ მოგზაურის საგანი დარჩებოდა უსარგებლოდ, რადგან ყოველი მასწავლებელი სცდილობს თავის საგნის კარგად გადაცემას და ისიც, ხშირათ, სვინიდისის მხილებით, თორემ ხანდახან ამაშიაც სუსტობს; შესახებ სხვის საგნისა კი რა მოგახსენოთ, და ისიც სამი, თუ ხუთი მასწავლებელი ერთსა და იმავე საგნიდგან, ნაწყვეტ ნაგლეჯათ, ყველა თავის მეთოდით, ასწავლიდენ! ამათში რომ სუსტობას შევიტყობდით, მაშინ რაღა ექნა სამმართველოს?“ იგივე მოხდება იმ შემთხვევაშიაც, თუ მასწავლებლები გაიგზავნებიან არა რუსეთში, არამედ თფილისში, სადაც გაგზავნაზედ სრული თანახმა ხდება მ. ზიგაუროვი. მშვენიერი ლოღიკაა! მაგრამ, მისდა საუბედუროთ, რასაც მ. ზიგაუროვი ფიქრობს, საეჭვო არის: მასწავლებლებისაგან, რომლებიც თავს იდებენ თავიანთ ამხანაგის საგნის სწავლებას, ჟურნალური დადგინებით, მთავრობა მოითხოვს, რომ იმათ ასწავლონ რიგიანათ არა ნაკლებ თავიანთ საგნისა. მაშასადამე არ დარჩება უსარგებლოთ მგზავრი მასწავ-

---

უფროსი ვიყავი და პატივს მაგალითი ვუჩვენე; თქვენ მსაჯულნი ხართ და მეორე მაგალითი უნდა აჩვენოთ.

— რა მაგალითი?

— ჩემი სიკვდილით დასჯა.

— ნამდვილი სამართალი გვღირსებაო, უთხრა სიმურდანმა.

— და აუცილებელიო, დაუმატა გუვანმა.

მდივნის მოადგილემ ორი ქაღალდი წაიკითხა, ერთი კონვენტის ბრძანება და მეორე გუვანის განცხადება. პირველ ქაღალდში ეწერა, რომ „ვინც არეულობის მომხდენს განთავისუფლებს, სიკვდილით დაისჯებაო“, „მეორეში გამოცხადებული იყო, რომ „თუ ესრედ წოდებული მარკიზ ლანტენაკი დაიჭიროთ, თავს მოეკვეთოთ.“

— ბრალდებულო და საზოგადოებავ, სთქვა სიმურდანმა, ყური დაუგდეთ. თქვენ წინ კანონია. საქმე მომეტებული ხმით გადაწყდება. მსაჯულები ხმა მაღლა გამოაცხადებენ თავიანთ აზრს: სამართალს დასამალავი არა აქვს რა. სიტყვა პირველ მსაჯულს ეკუთვნის. კაპიტანო გეშან, თქვენი აზრი?

— აქ ზე პირ-და-პირი კანონია. 414 წელს, რომის დაფუძნებიდგან მანლიუსმა სიკვდილით დასაჯა თავის შვილი, უფროსის უბრძანებლად მტერის დამმარცხებელი. სამხედრო წესიერების კანონ, უაღრესი მნიშვნელობა აქვს... შებრალება ხანდისხან მამულის ღალატია? გუვანი კანონს გადასცდა. ის დამნაშავეა. ჩემი აზრია, რომ სიკვდილით დაისაჯოს.

— ჩასწერეთ, უბრძანა მდივანს სიმურდანმა.

— მადლობელი ვარ კარგად განსჯისათვისო, უთხრა გეშანს გუვანმა.

— სიტყვა მეორე მოსამართლეს ეკუთვნის! თქვენი აზრი, რადუ?

სერჟანტი რადუ წამოდგა, ჯერ გუვანისაკენ მიბრუნდა, გაუკეთა იმას სამხედრო სალამი და დაიყვირა:

— რახანც მასეა, მაშ მეც მომჭერით თავი! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ მე მინდოდა, ჯერ იმ მოხუცის ალაგას ვყოფილვიყავ და მერე ამ ახალგაზდისა. როდესაც ის ოთხმოცი წლის მოხუცი ცეცხლში დავინახე, რომ ბავშვებს იხსნიდა, მე ვთქვი გულში: აი, კეთილი გულის კაცი! და როდესაც შევიტყე, რომ ჩემმა უფროსმა გუვანმა, ის მოხუცი დაიხსნა, ვთქვი: აი, ნამდვილი კაცი, აი საჩემო ღენერალი, მეთქი... როგორ! ჩვენი უფროსი, ჩვენი გუვანი, რომელიც, ოთხი თვის განმავალობაში, როიალისტების დამფრთხობია, რომელიც შიშველი ხრმლით ემსახურება და შველის საფრანგეთს, რომელმანც აიღო დოლი, ეს გუვანი უნდა დასაჯოთ! მის მაგივრად, რომ ღენერლად გახადოთ, თქვენ თავსა სჭრით? მე ვამბობ რომ მოხუცმა კეთილი საქმე ჩაიდინა, როდესაც ჩვენი ნაშვილევი ყმაწვილები დაიხსნა; მე ვამბობ, რომ გუვანმა კეთილი საქმე ჩაიდინა, როდესაც მოხუცებული დაიხსნა! თუ კეთილი საქმისთვის უნდა დასაჯოთ კაცი, მაშ დამწყევლა ღმერთმა, თუ ვიცოდე, სად ეშმაკებში ვართ, რა ვართ და ვის ვემსახურებით! რა ჯანაბისათვის ვეკლავთ თავს? განა იმისთვის, რომ ჩვენი საყვარელი უფროსი მოგვეკლათ? ამისთანა საქმეები მე არ მიყვარს. მე ჩემი უფროსი მინდა! თავსაკვეთელაზედ უნდა შეგზავნოთ? მასხარობთ! რაც გერჩიოსთ, ის სთქვით; მე თქვენი არა მესმისრა! ეს შეუძლებელია!

— თქვენი აზრი ბრალდებულის სასარგებლოა განა? ჰკითხა სიმურდანმა.

— ჩემი აზრი ის არის, დაიყვირა გაცხარებულმა რადუმ, რომ გუვანს ღენერლის ხარისხი მისცენ!

— მე თქვენ გკითხავთ: გუვანის სასარგებლოდ აძლევთ ხმას, თუ წინააღმდეგ?

— მე ვაძლევ ხმას იმისთვის, რომ გუვანი რესპუბლიკის პირველ პირად დანიშნონ.

— სერჟანტო რადუ, მე თქვენ პირდაპირს პასუხსა გთხოვთ?

— ჩემი პასუხი ის არის, რომ ამის მაგივრად მე მომჭერით თავი.

— მდივანო! ჩასწერე, რომ რადუ წინააღმდეგია გუვანის დასჯისა.

ახლა თვითონ სიმურდანის რიგი იყო.

ის წამოდგა. მოიხადა ქუდი და სტოლზე დადვა. მიწის ფერი ედვა. იმის ხმაზე ჰკიდია გუვანის ბედის გადწყვეტა. სულს ვერავინ ნაბავს.

სიმურდანმა წყნარის, ნელის, მაგრამ მკაცრის ხმით სთქვა:

— ბრალდებულო გუვან, სამხედრო სამსაჯულო, რესპუბლიკის სახელითა, ორი ხმის უმეტესობით....

თითქო ხმა შეუწყდა, ერთი წამი შეჩერდა, თითქო ჰფიქრობდა: სიკვდილი, თუ სიცოცხლე უნდა გადაეწყვიტა. განაგრძო:

— გარდაგიწყვიტა თქვენ სიკვდილით დასჯა.

სიმურდანი დაჯდა, დაიხურა ქუდი და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

— გუვან, ხვალ დილით, მზის ამოსვლის დროს, უნდა მოელოდეთ სიკვდილს.

გუვანი წამოდგა, თავი დაუკრა სამსაჯულოს და სთქვა:

— ვმადლობ სამსაჯულოს.

— წაიყვანეთ დამნაშავეო, უთხრა სალდათებს სიმურდანმა.

---

დილაა. ტურგის ეზოში რაღაც შავია დამდგარი. ეს ეშაფოტია. ეშაფოტზე თავსაკვეთი დგას. გარშემო სალდათები არიან შემორტყმულნი. ყველას თოფები მხარზე აქვთ. ეშაფოტის მოშორებით სტოლია, იმ სტოლთან სიმურდანი ზის კონვენტის დელეგატის მუნდირში. იმის წინ სამფეროვანი დროშაა გაშლილი. არავინ ხმას არ იღებს, თითქო სუნთქმაც შეწყვეტილი აქვს ამდენ ხალხსაც.

ბოლოს იმ სახლიდამ, სადაც დამნაშავე იყო დამწყვდეული, პროცესსია გამოვიდა: პირველად მედოლეები, რომელთაც შავად შეღებილი დოლები ჰკიდიათ, მერე სალდათები, შემდეგ ორი ხრმალ-ამოღებული ჟანდარმი და ბოლოს გუვანი.

გუვანი მხნეთ მიდის ეშაფოტისაკენ. იმას ხელ-ფეხი არა აქვს შეკრული; სამხედრო მუნდირი აცვია, გვერდზე ხრმალი ჰკიდია. სახეზე თითქო სიხარული და კმაყოფილება ჰქონდა გამოხატული. ის ხედავს თავის აღმზრდელ-მასწავლებელს სიმურდანს, თან იმას შესჩერებია და თან ეშაფოტის კიბეზე ადის.

რომ შევიდა ეშაფოტზე, ხრმალი ჩამოიხსნა და აფიცერს მისცა, შემდეგ ყელსახოვი მოიხსნა და პალაჩს გარდასცა.

მოჩვენებას გავანდა. თავის დღეში ის ასე მშვენიერი არავის უნახავს, როგორც ეხლა მოჩანდა. იმის გრძელ შავ თმას ქარი დააქროლებდა. იმის თეთრი ყელი ქალისა გეგონებოდათ. გუვანი იდგა ფეხზე, წყნარი, დამშვიდებული. მზე გარს შემოხვეოდა.

კანონის წესით, დამნაშავე უნდა შეეკრათ. პალაჩი მოვიდა, იმას თოკი უჭირავს ხელში.

ამ დროს, როდესაც სალდათებმა შეხედეს, რომ იმათ ახალგაზდა სარდალს ეს იყო თავის მოკვეთა ელოდა, ვერ მოითმინეს და ერთხმად შეჰქნეს ძახილი! „პატიეთ! პატიეთ!“ ზოგიერთები მუხლებზე დაეცნენ, ზოგმა თავის თოფები გაისროლეს და გააშვირეს ხელი სტოლისაკენ სადაც სიმურდანი იჯდა, აპატიეთ! ერთმა სალდათმა დაიყვირა: „სამაგიეროს მიღება თუ შეიძლება, მზათა ვარ, მე მოვკვეთეთ თავიო!“ ყველანი თითქოს მტირალა ხმით ყვიროდნენ: „აპატიეთ! აპატიეთ!“ ლომები დაფთხებოდნენ, ეს ყვირილი რომ გაეგონათ. სალდათის ცრემლი საშიშარია!

პალაჩი გაჩუმდა. არ იცოდა, რა ექნა.

მოისმა ერთი მკვახე დაბალი, მაგრამ ყველასთვის გასაგონი ხმა:

— კანონის გადაღგომაა!

ყველამ იცნო სიმურდანის ხმა. სალდათებს გააჟრჟოლა ტანში.

პალაჩი აღარ შეჩერებულა; ის მიუახლოვდა გუვანს თოკით.

— მოიცადეო, უთხრა გუვანმა.

მიბრუნდა სიმურდანისაკენ, მარჯვენა ხელით, რომელიც ჯერ შეკრული არ ჰქონდა, უჩვენა იმას გამოთხოვების ნიშანი და მერე ნება მისცა პალაჩს, რომ შეეკრა.

როცა შეკრული იყო, მიუბრუნდა პალაჩს და უთხრა:

— უკაცრავათ, ერთი წამი კიდევ მიიცა.

და დაიყვირა:

— გაუმარჯოს რესპუბლიკას!

თავსაკვეთის ფიცარზე დააწვინეს. პალაჩმა აუწია ნელა თმა, გაუმაგრა თავი გილიოტინის მაგრატელზე; შემდეგ დააჭირა ერთს პრუჟინას ხელი. დიდმა სამ კუთხიანმა დანამ აიხსნა თავი და ჩამოეშვა.. ჯერ ნელა, მერე უფრო ჩქარა. საზარელი ხმა გაიგონეს....

იმავე წამს მეორე ხმა მოესმათ: თავსაკვეთი ჩარხის ხმას დამბაჩამ გასცა პასუხი. სიმურდანმა მოიხსნა ქამარზე დაკიდული დამბაჩა და იმდროს, როდესაც გუვანის თავი კალათაში ჩაგორდა, იმან მიიშვირა ლულა გულზე და დასცალა. სისხლის ღვარი წამოსქდა პირით, მკვდარი დაეცა.

და ეს ორი სული, ტრაგიკული დები, ერთად გაჰქრა; ერთის სიბნელე მეორის სინათლეს შეერია.

ს. მესხი.

ლებელის საგანი. რაც შეეხება სხვა და სხვა მეთოდით სწავლებას, არც ეს არის საშიში, ვინაიდგან ზედამხედველი ვალდებული არის, ყური უგდოს და ასწავლებინოს თვითეული, საგანი შესაფერი მეტოდით. ბოლოს მ. ბიგაუროვი გაბედულად დასკვნის თავის აზრებს შემდეგი სიტყვებით: „თუ ეხლანდელი მასწავლებლები სუსტობენ ეხლანდელის მოთხოვნილებისამებრ საგნის სმენასა და გადაცემაში, მე თანახმა ვარ თითოეულის მათგანის გაგზავნაზე, თავის საქმისა და საგნის შესწავლისათვის, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის მეტოდა და საგნების შესწავლა საკმაო იქნება ყველა ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლისათვის, და ისიც, ექსის თვის ვადით, მეთქი.“ ეს გაბედულობა მ. ბიგაუროვისათვის მიუცია ალბათ იმას, რომ არქიერი დათანხმდა იმის აზრს, როგორც ისა სწერს, თორემ ეს რა ღირსი იყო საქვეყნოდ გამოცხადებისა, თუმცა სამმართველოს სხაში კი სთქვა ეს ნამდვილათ. ესევე არქიერის დათანხმება იმის აზრზედ აბედვინებს იმასა იმის თქმას, რომ ვითომც სამეგრელოს სასწავლებლის მასწავლებლები სუსტები იყვნენ საგნების ცოდნაში და გადაცემაში; მაგრამ ძალიან სცდება. არამცთუ სამეგრელო სასულიერო სასწავლებელში, არამედ სხვა სასწავლებლებშიაც იმისთანა სუსტ და უთავბოლო მასწავლებელს ვერ ნახავთ, როგორიც უთავბოლო მასწავლებელი შეიქნა მ. ბიგაუროვი თავის „ორიოდე სიტყვაში.“ და თუ გადაწყვეტილათ მიჩნია ეს საქმე, ის სრულებით გონებით ყმაწვილი ყოფილა. საქმის გადაწყვეტამდის ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ჯერ კიდევ გასასჯელები არიან შემდგომი კითხვები: მასწავლებლები თანახმა არიან, თუ არა, თავიანთ ხარჯზედ თვითეული მათგანის ტფილისის სამოსწავლებლო ინსტიტუტში გაგზავნისა? თანხმა არიან ისინი, თუ არა, ტფილისში თავიანთ საქმის და საგნის შესასწავლათ წასვლისა? ვსთქვათ თანხმა არიან. იქ გაგზავნა და სწავლა მოუტანენ სასწავლებელს, თუ არა საჭირო სარგებლობასა? მე ნამდვილათ ვიცი, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები, ზედამხედველიდგან დაწყობილი წვრის მასწავლებლამდე, არ არიან თანახმა არც თავიანთ ხარჯზედ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გაგზავნისა და არც წასვლაზედ, რაზედაც განცხადებას აძლევენ სასწავლებლის სამმართველოს. და ან რათ იქნებიან თანახმა, როდესაც არ მოელიან ამ რიგი საშუალებისაგან სარგებლობას, როგორათაც სასწავლებლისათვის, აგრეთვე თავიანთთვისაც. აბა ერთი გაგზავნეთ, თუ გიყვარდეთ, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ლათინურის, ბერძნულის, კატეხიზმოს, ღვთის მსახურების და საეკკლესიო ტიბიკონის მასწავლებლები და ნახე რა მეტოდებში და საგნებში განსწავლულები მოგივლენ!! მე კი გირჩევთ ყველაზე წინათ გაგზავნოთ იქა მ. ბიგაუროვი, „მასწავლებელი კატეხიზმოსი, ღვთის მსახურებისა და საეკკლესიო ტიბიკონისა ქუთაისის სასწავლებელში, და ნახეთ თუ როგორ დაამტკიცოს იმან სარგებლობა იქ წასვლისა. ეს ერთი და ღმერთი. ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში წასვლას მეორე უბედურებაც თან მოსდევს. აი ტფილისში მიდის აქ გაზდილი ყმაწვილი მასწავლებელი, ფული მისდის თავის რიგზედ, იქ ნაცნობები ბევრი ჰყავს, რომლებსაც, თითონაც რომ არ აჰყვეს, გარემოება ააყოლებს, და დღეს თეატრში, ხვალ ბულვარზედ, ზეგ ვერაზედ, მაზეგ ორთაჭალაში, და ამ გვარად გაატარა სამი ექსი თვე, და მხოლოდ სამჯერ ანუ ექვსჯერ შეიხედა ხსენებულ ინსტიტუტში, ან კიდევ სრულებითაც არ შეიხედა, რომლის მაგალითიც მოახდინა ერთმა ყმაწვილმა. აი თქვენი ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში წასვლის პრაქტიკულობაც და შეწევნაც საჭირო მიზნისათვის. შემდეგ ყოვლის ამისა არ შეგვიძლიან მართლად არ მივილოთ შემდეგი მ. ბიგაუროვის სტატიის დასაწყისი სიტყვები მაინც: „საზოგადოთ ყველასათვის ეხლა გასაოცარი ის უნდა იყვეს, რომ, ამ საუკუნეში მაინც, კაცს არ ესმოდეს კაცობრიობა და ის, რომ სიცრუე და ჭორიკანაობა რა საძაგლობაა?“ ეს უბედურობა ამის მთქმელმა თავათვე დაგვიმტკიცა, როდესაც დარწმუნებით ამბობს, ისე არ იყო საქმეო, როგორც ბჭყალაძე სწერსო მხედველობაში იმას ჰქონია მხოლოდ ის აზრები, რომლებიც მე მივაწერე ერთს პატივცებულს სამმართველოს წევრს თუ ეს მართლა ისე იყო მაშ მ. ბიგაუროვი რათ არ იშორებს თავიდგან იმ აზრებს, რათ მიიწერა თავისი თავზედა? ალბათ მართლა ყოფილა. დასამტკიცებლად იმისა, რომ ის აზრები ნამდვილად იმას ეკუთვნოდნენ, ვსთხოვ მიიქცეს ის და ჰკითხოს ყველა იმ შემთხვევაში იქ მყოფთ: უუ—თ სასწავლებლის ზედამხედველს მიხეილ ბურგენიძეს, მის თანაშემწეს ი. გაწერელიას, ე. მარჯანიძეს, ი. ციკარიშვილს, ე. მომბოლიას, ს. მამიტოვს, დ. ჩიმაკაძეს, ა. ცხადაძეს, გ. ჯუღელს, ი. შარაბიძეს და ა. ვახნიას.

ცქრიალა ბჭყალაძე.

# რუსეთი

— ხერსონის უეზდის ერობას ათი სახალხო წიგნთ-საწყობი გაუკეთებია და ამათი გამგეობა საერო შკოლების მასწავლებლებისათვის მიუნდვია. ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩვენშიაც ამ გვარი წიგნთ-საწყობები გახსნილიყო. სანამდის სახალხო წიგნებით ვაჭრობა სარგებლის მომცემი არ იქნება, მანამდის ჩვენც იმ გვარი ღონე უნდა ვეხმაროთ, როგორც ხერსონის უეზდის ერობას. მართალია ჩვენში საერო წესდება არ შემოუღიათ ჯერ, მაგრამ შეიძლებოდა რომ წიგნებით ვაჭრობა და იმათი ხალხში გავრცელება თვითონ სოფლის საზოგადოებას ეკისრა. თუ არა და, სასოფლო შკოლების ინსპექტორებს კარგად შეეძლოთ, რომ ეს საქმე მასწავლებლებისთვის მიენდოთ

— მოსკოვის უწყებები გვაცნობებენ, რომ ახალს კანონებში სანადირო თოფის წამლის ვაჭრობაზედ, რომელნიც მმართებლობას სურს გამოსცეს, შეტანილია ისეთი მუხლები, რომლითაც კერძო პირებს თოფის წამლით ვაჭრობის ნება ეძლევათ. თითოეულს ვაჭარს შეუძლიან, რომ სახაზინო თოფის წამლის მაგზინებისაგან ერთ გზობაზედ 100 ფუთი სანადირო თოფის წამალი გამოიტანოს. ეს ზომა ევროპაში მდებარე რუსეთისათვის არის დანიშნული და ციმბირში 150 ფუთის ყიდვა შეუძლიათ. კერძო კაცებს (მცირე წლოვანებს გარდა) ერთ გზობისად ევროპის რუსეთში 3 გირვანქის მეტი არ უნდა მიჰყიდონ და ციმბირში 5 გირვანქის არა მეტი. მყიდველებს ვაჭრებისაგან არავითარი მოწმობა არ მოეთხოვება.

— გაზეთი „ხმა“ გვაცნობებს, რომ მუშაობა როსტოვისა და ვლადიკავკაზის რკინის გზაზედ აი ამ მდგომარეობაში არის: რაც მიწის სამუშაო იყო, ყველა გათავებულიაო ვლადიკავკაზიდამ დაწყებული როსტოვამდის; დამბა დონის ნაპირებზედ მზათ არის; ხიდები 400 ვერსის სიგრძეზედ სულ გათავებულია; თვითონ დონის ხიდისათვის ორი კიდისა და ორიც შუა ბურჯები მზათ არის. ცეცხლის ეტლი 300 ვერსტის სიგრძეზედ მასალას და მუშებს ატარებსო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— მაკ-მაჰონს უთქვამს, რომ საფრანგეთის მართვაში მე მსურს ყოველი პატიოსანი კაცის შემწეობა მივიღოო, ვინც უნდა იყოს ესენი, რესპუბლიკელები, თუ სხვებიო. ეხლა ბროლის სამინისტროს სამსახურისაგან განთავისუფლება უთხოვნია, რადგანაც ნაციონალური კრება არ დათანხმებულა მმართებლობისაგან წინადადებულს კენჭის ყრის კანონების განხილვაზედ, და ვნახოთ ვის მიანდობს მაკ-მაჰონი ახალი სამინისტროს შედგენას.

— დაიშლება ახლანდელი ნაციონალური კრება, თუ არ დაიშლება? აი ეს არის ეხლა საფრანგეთისთვის უმთავრესი პოლიტიკური კითხვა. როგორათაც არ უნდა გადაწყდეს ეს საქმე, რესპუბლიკის გამარჯვება უეჭველია. მართალია კრებას სურს, რომ უკვდავი, დაურღვეველი შეიქნეს, მაგრამ იმისი წევრები მომაკვდავი კაცებია და ამისგან ხან ერთს დეპარტამენტში იხსნება დეპუტატის ვაკანსია და ხან მეორეში და ყოველს ამ გვარს შემთხვევაში კონსერვატორების მაგიერ რესპუბლიკელები იგზავნებიან დეპუტატად. მაკ-მაჰონი მონარქიური პარტიის პლანებზედ არ თანხმდება და ამითი უნებურად ლიბერალურ პარტიას ეწევა. მმართებლობა არ უშლის რესპუბლიკელებს, ის თითქმის გულგრილად უყურებს რესპუბლიკელების მზადებას და მეცადინეობას, რომ საქმეებს რესპუბლიკის სასარგებლო მიმართულება მისცენ.

— ამას წინეთ ერთ მეჯლისზედ ნიცცელმა დეპუტატმა პიკკონმა წარმოსთქვა იტალიანურ ენაზედ სიტყვა, რომლითაც ის სხვათა შორის აცხადებდა: „როცა ჩემს ძვირფასს თანამემამულე იტალიელებს ვხედავ ხოლმე, ჩემში იღვიძებს მამულის მოყვარება და ყველა ლტოლვილება, რომელიც კი მისი კეთილდღეობისკენ მიგვიძღვის. მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ მალე ჩვენი მშვენიერი ნიცცა, რომელიც იტალიის შეერთებისათვის მსხვერპლად შესწირეს, დაუბრუნდება თავის მამულს. მე თუ მკითხავთ, მზათა ვარ რომ ამ საქმეს ჩემი საკუთარი თავი და ოჯახიც შევსწირო.“ ამ სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნიცცაში. იტალიელი გაზეთები, კი რომელთაც ეშინიანთ, რომ ნიცცაში მღელვარება იტალიელ პროპაგანდას არ მიაწერონ, ძალიან ჰკიცხვენ პიკკონსა. საფრანგეთის მთავრობა გაჯავრებულია პიკკონზედ, მაგრამ, რადგანაც კანონში ამ გვარი შემთხვევის შესაფერი მუხლი არ არის, დასჯას ვერ ახერხებს; მაგრამ საფრანგეთის პატრიოტები და გაზეთები უკმაყოფილო არიან; ყველა ისე აუყაყანდა ამ კაცს, რომ საზოგადოების მხრით დევნულებას ისევ დეპუტატობისაგან ხელის აღება არჩია.

# ნარევი

— ლონდონის ქალაქს ეხლა სამოცდა ექვსი კვადრატული ვერსტი მიწა უჭირავს და ამ ადგილზედ სამი მილლიონი და სამას ორმოცდა თექვსმეტი ათასი კაცი სცხოვრებს თურმე,—ესე იგი თითქმის 30 ათას ქცევა მიწაზედ (ქცევას, 625 საჟენად ვანგარიშობთ ძველებურად) სამი იმდენი ხალხი სცხოვრებს, რამდენიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში.

— ამ ზაფხულს ერთი ამერიკელი სერჟანტი სახელად ბეცი, საკვირველ მგზავრობას აპირებს თურმე: ათს მაისს ბეცი გამოსულა ჩრდილოეთის ამერიკის შტატებიდგან და თან ორი გადამდგარი სალდათი წამოუყვანია, ერთი ამათგანი ფრანცუზია და მეორე გერმანიელი. ლონდონში რომ მოვა, ბეცი ყველა ევროპიელი ტომისაგან თითო გადამდგარს სალდათს იშოვნის. ესენი გამომგზავრდებიან აღმოსავლეთისაკენ და თითოეულს იმათგანს ხელში თავის ქვეყნის დროშა ეჭირება. სხვათა შორის ერთი დროშა სულ თეთრი იქნება, რომელზედაც ეწერება „მშვიდობა ქვეყანასა ზედა“. ეს დროშა ბეცს უნდა ეჭიროს თურმე ხელში. ამ მგზავრებმა ყველა ევროპის სატახტო ქალაქებში უნდა გაიარონ და ბოლოს პეტერბურღს უნდა მივიდნენ. აქ გათავდება იმათი მგზავრობა თუ არა, ამაზედ გაზეთები არაფერს გვატყობინებენ.

— სახლებში გაჩენილი ცეცხლის გაქრობა ხშირად იმასგამო ძნელდება, რომ კომლი ცეცხლის მქრობელს სულის თქმას უჭირვებს და თვალებს სწვავს. რომ ცეცხლის მქრობელს საქმე არ გაუჭირდეს, ერთმა ინგლისელმა პროფესსორმა ტინდალმა თავსაფარი გამოიგონა, რომლის შემწეობით კაცს სქელ კომლში ყოფნა და სულის თქმა შეუძლიან. ეს თავსაფარი ისე არის გაკეთებული, რომ მთელს თავ-პირს იცავს, თვალებისათვის მინები აქვს დატანებული და საპირეში გლიცერინით დასველებული ღრუბელი, რომელიც კომლის ჭვარტლსა და ზეთს იჭერს.


# განცხადებანი

ისყიდება ხელ-ნაწერი მიმოვლა წმინდა ადგილებისა იერუსალიმისა და სხვა პალესტინისა და ეგვიპტის ქალაქებში და უდაბნოებში. მოგზაურობის აღწერა იწყება ტფილისიდამვე ვისაც ამ მოგზაურობის დაბეჭდა სურს, ხელნაწერის ყიდვა შეუძლიან თვითონ მოგზაურის ბლრი-ბეგ-ბასტამოვისაგან, არტემ ქეთხუდოვის სახლებში.

ქალაქს ტფილისში
ვართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება
**მცენარეთა ლექსიკონი.**
ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედა
შედგენილი თ. რაფ. დ. ერისთვის-მიერ.
ფასი 50 შაური.

ქალაქს ტფილისში,
სემინარიის ქვეშ სარდაფში ისყიდება
ნამდვილი ბუნებითი
**კახური ღვინოები**
თ. რ. და ი. ერისთავებისა
და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახები
თვითოეული ბოთლის ფასი
ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.